

EGZAMIN CERTYFIKACYJNY Z JĘZYKA GRUZIŃSKIEGO NA POZIOMIE B1 TEST PRZYKŁADOWY

odpowiedzi na pytania do testów 1.1, 2.1, 2.2, 2.3, 3.1 wpisz na kartę odpowiedzi numer 1
odpowiedzi na pytania do testów 1.2, 3.2 i 4 wpisz na kartę odpowiedzi numer 2

Za cały egzamin możesz uzyskać 120 punktów.

Egzamin trwa 120 minut.

Do wszystkich części egzaminu dołączone są instrukcje. Przeczytaj je uważnie zanim przystąpisz do rozwiązywania zadań testowych.

INSTRUKCJA TESTOWA

Otrzymałaś/-eś książeczkę testową oraz dwie karty odpowiedzi.

ROZWIĄZUJ TESTY 1.1 (pytania 1 - 5), 1.2 (pytania 6 - 10), 2.1 (pytania 11 – 15), 2.2 (pytania 16 – 20), 2.3 (pytania 21 – 25), 3.1 (pytania 26 -35) NA KARCIE

ODPOWIEDZI NUMER 1 W NASTĘPUJĄCY SPOSÓB:

- Do każdego pytania podane są dwie, trzy lub sześć odpowiedzi do wyboru, oznaczone literami a, b, c, d, e, f.
- Wybieraj za każdym razem jedną prawidłową odpowiedź .
- Możesz wykorzystywać książeczkę testową do zaznaczania odpowiedzi „na brudno”.
- Na kartę odpowiedzi nanieś **ostateczną wersję**, zaznaczając **dokładnie** wybraną przez siebie literę.

ROZWIĄZUJ TESTY 3.2 (pytania 36- 45) ORAZ TEST 4 NA KARCIE

- Wszystkie odpowiedzi wpisz **DŁUGOPISEM** na karcie odpowiedzi.
- Niniejszą książeczkę testową możesz wykorzystać do rozwiązywania testu „na brudno”.
- Test 4 możesz napisać „na brudno” na odwrocie strony tytułowej lub na pustych stronach książeczki testowej.
- Pisz **wyraźnie!** Nieczytelne pismo nie będzie brane pod uwagę!

Pamiętaj o takim zaplanowaniu czasu, aby wystarczyło go na wpisanie wszystkich odpowiedzi na karty odpowiedzi.

Test 1: Rozumieniu ze sluchu, pytania 1 – 10 (20 pkt.)

1.1. Pytania 1 – 5 (10 pkt.)

Usłyszysz dwukrotnie krótką rozmowę z francuskim gościem. Poniżej znajdziesz 5 pytań dotyczących tego wywiadu. Przed wysłuchaniem zapoznaj się pytaniami. Następnie do każdego pytania wybierz jedną z trzech podanych możliwości i zaznacz na karcie odpowiedzi odpowiednią literę obok właściwego numeru pytania.

1. ვისთან შედეგა საუბარი?

- a) ფრანგ მეცნიერთან
- b) ქართველ მწერალთან
- c) სტუდენტებთან

2. ვისთან ერთად მიდის ბერნარი მცხეთაში?

- a) ნაცნობებთან
- b) ნინოსთან ერთად
- c) უცხოელ სტუდენტებთან ერთად

3. სად ცხოვრობენ უცხოელი სტუდენტები?

- a) ავლაბარში
- b) ვაკეში, ვერაზე, საბურთალოზე
- c) მთაწმინდაზე

4. რის შესახებ წერს წიგნს ნინო?

- a) გელათის მონასტერზე
- b) მცხეთის არქიტექტურაზე
- c) ქუთაისზე

5. როდის იყო ფრანგი მეცნიერი პირველად საქართველოში?

- a) შარშან, გაზაფხულზე
- b) სამი წლის წინ, ზამთარში
- c) შემოდგომაზე

1.2. Pytania 6 – 10 (10 pkt.)

Usłyszysz teraz dwukrotnie fragment programu radiowego „*Historia miasta Tbilisi*”. Poniżej znajdują się stwierdzenia go dotyczące. Zapoznaj się z nimi przed wysłuchaniem. Następnie zdecyduj, które informacje są PRAWDZIWE (A), a które FAŁSZYWE (B). Zaznacz swoje odpowiedzi na karcie odpowiedzi obok właściwego numeru pytania.

6. წმინდა ნინოს ჯვარი ინახება სიონის ეკლესიაში Prawda (A) / Fałsz (B)
7. ვაზი ქართველებისათვის შრომის, ძლიერებისა და სილამაზის სიმბოლოა
Prawda (A) / Fałsz (B)
8. საქართველოში სამასი ჯიშის ვაზი ხარობს Prawda (A) / Fałsz (B)
9. ქართული ღვინოები საერთაშორისო გამოფენებზე ვერცხლის მედლებს იმსახურებენ Prawda (A) / Fałsz (B)
10. იმ ადგილს, სადაც ღვინოს ინახავენ მარანი ჰქვია Prawda (A) / Fałsz (B)

Test 2: Czytanie pytania 11 – 25 (30 pkt.)

2. 1. Pytania 11 – 15 (10 pkt.)

Przeczytaj krótkie teksty i dopasuj do nich tytuły oznaczone literami A-F. Jedna z nich jest podana dodatkowo i nie pasuje. Zaznacz swoje odpowiedzi na karcie odpowiedzi obok właściwego numeru pytania.

11. პოლონეთის ეროვნული მუზეუმი სხვადასხვა ასაკის დამთვალიერებლებს გიწვევთ მრავალფეროვან, მუდმივმოქმედ და დროებით ექსპოზიციებზე. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფერწერული და ფოტო-გამოფენები.
12. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე გიწვევთ ინგლისური ენის შესწავლის კურსებზე. ახალი სასწავლო მეთოდი დაფუძნებულია სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საფუძვლიანად შეისწავლონ ინგლისური ენა.

13. უკრაინის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო ფინეთიდან ბალტიის ზღვის გავლით გადმონაცვლებული ცივი, ხოლო დასავლეთიდან დაშვებული თბილი ჰაერის მასების ურთიერთქმედება, რამაც ნალექები და მთაში თოვა გამოიწვია. ზვავსაშიშროების გამო საავტომობილო გზები ჩაიკეტა. ხვალ, დღის მეორე ნახევრიდან, წვიმა თანდათან თოვლში გადავა.

14. საღამოს, არანაირი საქმის გამო არ გადადოთ მეგობრებთან შეხვედრა. მხიარულება, საინტერესო ადამიანების გაცნობა და ახალი ამბები გეგლით.

15. დაუვიწყარი მოგზაურობა საბერძნეთში. ექსკურსია ათენში. უნიკალური სამონასტრო კომპლექსები. ტურის ღირებულება განისაზღვრება ტურისტის მიერ არჩეული სერვისით. თუ გსურთ ნახოთ საბერძნეთი ჩვენ გვაქვს საუკეთესო პირობები, საუკეთესო ფასად.

A) პოლონეთის ეროვნული მუზეუმი გიწვევთ

B) ტურისტული ბიურო გიწვევთ სამოგზაუროდ

C) განცხადება ინგლისური ენის შესწავლის მსურველთათვის

D) დღის პოროსკოპი

E) ამინდის პროგნოზი

F) საზაფხულო ფასდაკლება

(ტექსტები ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან)

2.2. Pytania 16 – 20 (10 pkt.)

Przeczytaj uważnie poniższy list i odpowiedz na pytania, wybierając właściwą odpowiedź spośród trzech podanych możliwości. Swój wybór zaznacz na karcie odpowiedzi obok właściwego numeru pytania.

ნინო,

სწორედ რომ ერთი წლის წინათ ვიყავი პირველად ბათუმში. ბავშვობიდან მინდოდა საქართველოში მოგზაურობა. პირველად რაც დავინახე ბათუმში ეს იყო ულამაზესი ზღვა და უამრავი ტურისტი ქალაქში. ბათუმს ამშვენებდა ლამაზი სახლები და ვიწრო ქუჩები. ქალაქში ყველა ჯერზე

რადაც ახალი გხვდება. მაგალითად, ტაქსისტმა შეიძლება გითხრას, რომ მისი კარის მეზობელი წარმოშობით პოლონელია, თან ბათუმი ისეთი ქალაქია, რომ სიახლეს გრძნობ, მაგრამ, იმის შეგრძნებაც არ ქრება, რომ ყველაფერი ისეა, როგორც იყო. უცხოელი აქ უცხოელია, მაგრამ, მთლად უცხოელიც არ არის. წელს ბათუმში ევროპელი ტურისტების სიჭარბე იყო. ბათუმი ისეთ მოულოდნელობებს შეიცავს, ისეთი საინტერესოა, რომ მთელი ამ ამბის აღწერა შეუძლებელია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა მოახდინა. ბათუმში ადრე ბევრი სხვადასხვა ეროვნების ხალხი სახლდებოდა. ქალაქიც ესაა. აი, „ალი და ნინოს“ მონუმენტი, რომელიც ეროვნებათაშორის სიყვარულის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის სიმბოლოა. გონიოს რომაული ციხე, რომელიც პირველი საუკუნის სამოცდაათიან წლებშია აგებული უმშვენიერესია. ძალიან დამაინტერესა საქართველოს ისტორიამ. რომ ჩამოვალ ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

შენი გიორგი

(ტექსტი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან)

16. რომელი ქვეყნის ისტორიით დაინტერესდა გიორგი?

- a) საქართველოს ისტორიით
- b) პოლონეთის
- c) აღმოსავლეთ ევროპის

17. სად მოგზაურობს გიორგი?

- a) ბათუმში, ზღვის სანაპიროზე
- b) თბილისში
- c) ქუთაისში

18. რომელი ქვეყნებიდან იგრძნობოდა ტურისტების სიჭარბე?

- a) ევროპიდან
- b) იაპონიიდან
- c) ყაზახეთიდან

19. რამ მოახდინა ბათუმში გიორგიზე დიდი შთაბეჭდილება?

- a) ზღვამ

- b) ბოტანიკურმა ბაღმა
- c) თანამედროვე არქიტექტურამ

20. რომელ საუკუნეში აიგო რომაელების მიერ გონიოს ციხე?

- a) მეოთხე საუკუნეში
- b) თარიღი უცნობია
- c) პირველი საუკუნის სამოცდაათიან წლებში

2.3. Pytania 21 – 25 (10 pkt.)

Przeczytaj tekst i zdecyduj, które stwierdzenia go dotyczące są prawdziwe (A), fałszywe (B), lub brak informacji w tekście (C). Zaznacz swoje odpowiedzi na karcie odpowiedzi obok właściwego numeru pytania.

ელენე და მაია ქუთაისიდან არიან. ისინი სექტემბრიდან ბათუმში, უნივერსიტეტში იწყებენ სწავლას და ბინას ეძებენ. სახლში მოსულ ელენეს ეს წერილი დახვდა კარებში: ელენე, მამაჩემი დღეს დილით ელაპარაკა თავის ქობულეთელ მამიდაშვილს: ქეთევანი მარტო ცხოვრობს ოთხოთახიან ბინაში და თანახმაა ერთი ოთახი დაგვითმოს ჩვენ. მართალია, ბინა ქობულეთშია და შორსაა უნივერსიტეტიდან, მაგრამ ქობულეთი ახლოსაა ბათუმთან და შეგვიძლია ავტობუსით ვიაროთ, ან მარშრუტკითაც. სამაგიეროდ ქირას არ გადავიხდით და იაფი დაგვიჯდება სტუდენტური ცხოვრება. აბა, უთხარი შენს მშობლებს და დამირეკე, როცა სახლში მოხვალ.

გოცნი, შენი მაია

- 21. ნინიკოს მამას ქობულეთში ჰყავს მამიდაშვილი. Prawda (A) / Fałsz (B) / Brak informacji (C)
- 22. ქეთევანი ერთ ოთახს უთმობს ელენეს და მაიას. Prawda (A) / Fałsz (B) / Brak informacji (C)
- 23. უნივერსიტეტი ქობულეთიდან შორსაა. Prawda (A)/Fałsz (B) / Brak informacji (C)
- 24. გოგოები უნივერსიტეტში მატარებლით ივლიან. Prawda (A) / Fałsz (B) / Brak informacji (C)
- 25. ელენემ სახლში დაპატიჟა მარიაში. Prawda (A) / Fałsz (B) / Brak informacji (C)

Test 3: Użycie języka pytania 26 – 45 (30 pkt.)

3.1. Pytania 26 – 35 (10 pkt.)

Przeczytaj uważnie poniższy tekst, a następnie uzupełnij brakujące miejsca wybierając za każdym razem jedną z trzech możliwości (A, B, C) podanych pod tekstem. Na karcie odpowiedzi zaznacz literę odpowiadającą wybranej przez Ciebie możliwości obok właściwego numeru pytania.

თითქმის ყველა ქვეყანაში ერთი ზოოპარკი მაინც 26) ____ . ზოოპარკებში ჩვენ სხვადასხვა სახეობის ცხოველისა და ფრინველის ნახვა 27) ____ . როდესაც ამ ცხოველებს ვათვალიერებთ, არ 28) ____ იმაზე, რომ მათაც სურთ თავისუფლება. ისევე როგორც ადამიანებს, ცხოველებსაც 29) ____ თავისი საცხოვრებელი გარემო, სადაც ისინი თავისუფლებას გრძნობენ და არ არიან ტყვეობაში. არ შეიძლება ცხოველები 30) ____ ბუნებრივ გარემოს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებისთვის ზოოპარკში მათი თვალიერება ერთგვარი გართობაა. მათი ნახვა შეიძლება სხვადასხვა ნაკრძალებში და დაცულ ტერიტორიაზე, ისე, რომ ჩვენ არ 31) ____ თავისუფლება. ცხოველების დასაჭერად ადამიანები სხვადასხვა გზას 32) ____ . ზოგჯერ ამ დროსაც შეიძლება რამე 33) ____ ცხოველს. მათ გრანსპორტირების დროსაც შეიძლება დაუშავდეთ რამე. მათ 34) ____ დრო, რომ შეეგუონ ახალ გარემო პირობებს. ყველაზე რთული ეს ზოოპარკის შემთხვევაშია ალბათ, რადგან ისინი 35) ____ თავისუფლებას.

(„ზოოპარკი“ ტექსტი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან)

	A	B	C
26	არსებობდა	არსებობდნენ	არსებობს
27	შეგიძლიათ	შეგვიძლია	შეუძლიათ
28	ვფიქრობთ	ფიქრობთ	ფიქრობენ
29	მაქვს	აქვს	აქვთ
30	მოვწყვიტოთ	მოწყვიტონ	მოწყვიტეს

31	წავგართვათ	წავართვათ	წაართვან
32	იყენებენ	იყენებდნენ	იყენებს
33	დაუშავეს	დაუშავებდათ	დაუშავდეს
34	გეჭირდება	სჭირდებათ	დასჭირდებათ
35	ჰკარგავენ	კარგავენ	დაკარგეს

3. 2. Pytania 36 – 45 (20 pkt.)

Przeczytaj uważnie poniższy tekst i uzupełni każdą lukę jednym słowem. Wpisz te słowa na karcie odpowiedzi obok właściwego numeru pytania.

ჩემს მეგობარს ანა ჰქვია. _____ (36) აქვს ორსართულიანი სახლი. პირველ სართულ_____ (37) მდებარეობს შესასვლელი, სამზარეულო და სასტუმრო ოთახი. მეორე სართულზე კი საძინებელია და ერთი კაბინეტი. შემოსასვლელში დგას ერთი ფეხსაცმლის და ტანსაცმლის კარადა. სამზარეულო_____ (38) თეთრი ფერის გაზქურა და თეთრი ფერის მაცივარი დგას. სასადილო ოთახის შუაში ხის მაგიდაა, რომლის ირგვლივ ოთხი სკამი დგას. სასტუმრო ოთახში კი ერთი ტახტი დგას, მარჯვნივ კი ორი სავარძელი, რომლის შუაში ჟურნალის მაგიდაა. ტახტის _____ (39) ტელევიზორია. კედელ_____ (40) კი ჭურჭლის კარადაა. მეორე სართულზე კიბ_____ (41) ავდივართ. ანას ოთახი პირველია. იქ საწოლი, ტანსაცმლის კარადა და საწერი მაგიდაა. ასეთი ავეჯი ძმის ოთახშიც _____ (42), მაგრამ ანას ოთახში კომპიუტერიც დგას და მისი ავეჯის ფერი ღია ყავისფერია. მშობლების ოთახში დიდი საწოლი დგას. _____ (43) წინ სარკიანი კარადაა. საწოლის გვერდებში ტუმბოები დგას, რომლებზეც ლამპებია. კაბინეტში წიგნების კარადაებია და თაროები, ერთი საწერი მაგიდა და სავარძელი. ანას ბაღიც _____ (44), სადაც ბევრი ხეა. იქ მთელი ოჯახი და ჩვენ, მეგობრები, შესანიშნავ დროს ვატარებთ. ძალიან მიხარია, რომ ასეთი ლამაზია შენი სახლი. ძალიან სასიამოვნოა ეს ყველაფერი. ჩვენ დიდიდან სადამო_____ (45) კვირა დღეს ანასთან ბაღში ვატარებთ.

(„ანას სახლი“, ნანა შავთვალაძე, „ბილიკი“, სამუშაო რეგული, თბ., 2011)

Test 4: Pisanie (40 pkt.)

4.1. Napisz e-mail do kolegi/koleżanki z podziękowaniem za wspólnie spędzone wakacje (ok. 70 -- 80 słów).

Napisz swój tekst w ok. 70 -- 80 słowach na karcie odpowiedzi w oznaczonym miejscu.

4.2. Wyjeżdżasz na urlop i prosisz sąsiada o zaopiekowanie się mieszkaniem/psem. Napisz krótką instrukcję (ok. 70 -- 80 słów).

Napisz swój tekst w ok. 70 -- 80 słowach na karcie odpowiedzi w oznaczonym miejscu.

Teksty do testu 1 (Rozumienie ze sluchu)

1.1

საუბარი ფრანგ სტუმართან

ნინო კანდელაკი ფილოლოგია, ის ცხოვრობს თბილისში წერეთლის ქუჩაზე. მას სახლში მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. ნინოს ჰყავს ახალი მეზობელი, ფრანგი ისტორიკოსი ბერნარი.

ნინო და ბერნარი ხშირად საუბრობენ.

ნინო: რას კითხულობ ახლა?

ბერნარი: მე ვკითხულობ წიგნს საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაზე. ქალბატონო ნინო, ხომ არა გაქვთ წიგნი მცხეთის არქიტექტურის შესახებ?

ნინო: არა, სამწუხაროდ, სახლში არ მაქვს.

ბერნარი: შაბათს მე მივდივარ მცხეთაში. იქ ერთი ნაცნობი მყავს, რომელიც ორი წლის წინ იყო ჩემთან საფრანგეთში.

ნინო: მართლა? ვინ არის?

ბერნარი: ფრანგული ენის მასწავლებელია. თბილისის სკოლაში მუშაობს.

ნინო: მარტო მიდიხართ მცხეთაში?

ბერნარი: არა, კიდევ ექვსი კაცი მოდის

ნინო: ვინ არიან?

ბერნარი: უცხოელი სტუდენტები: ორი ბიჭი ესპანეთიდან, ერთი იტალიიდან და სამი გოგო პოლონეთიდან

ნინო: ეს სტუდენტები აქ რას აკეთებენ?

ბერნარი: ჩემსავით საქართველოს ისტორიას სწავლობენ.

ნინო: სად ცხოვრობენ?

ბერნარი: ესპანელები ვაკეში ცხოვრობენ, იტალიელი – ვერაზე, პოლონელები კი – საბურთალოზე

ნინო: მცხეთაში რითი მიდიხართ?

ბერნარი: მიკროაუტობუსით: ქალბატონო ნინო, შაბათს თქვენ რას აკეთებთ?

ნინო: შაბათს მე საქართველოს ისტორიის მუზეუმში ვმუშაობ.

ბერნარი: რაზე?

ნინო: წიგნს ვწერ გელათის მონასტერზე

ბერნარი: გელათში როდის მიდიხართ?

ნინო: აპრილში, თქვენ ხომ არ გაქვთ აპრილში დრო?

ბერნარი: არა, სამწუხაროდ, აპრილში მე უკვე საფრანგეთში ვიქნები.

ნინო: ბერნარი, თქვენ უკვე კარგად ლაპარაკობთ ქართულად პირველად ხართ საქართველოში?

ბერნარი: არა, მეორედ, პირველად აქ მხოლოდ ორი დღე ვიყავი, მაგრამ საფრანგეთშიც მყავს ქართულის მასწავლებელი და მასთან მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობ.

ნინო: როდის იყავით აქ პირველად?

ბერნარი: სამი წლის წინ, ზამთარში, სიმპოზიუმზე. აქ მაშინ დიდი თოვლი იყო.

ნინო: კარგია. ახლა ნახვამდის, ბერნარ.

ბერნარი: კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ნინო.

(ღია აბულაძე, ანდრეა ლუდენი „ქართული ენა“, ჰამბურგი, 2006)

12.

ქართველი კაცის ცხოვრებაში ვაზს უდიდესი ადგილი უჭირავს. იგი ოდითგანვე იყო მისთვის არა მარტო სამეურნეო კულტურა, არამედ სასიცოცხლო ძალისა და ენერჯის მომცემი. როგორც ცნობილია, წმინდანინო საქართველოში ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა. ეს კარგად ახსოვდა ყველა ქართველს. დღეს წმინდა ნინოს ჯვარი სიონის ეკლესიაში ინახება. ყოველივე ეს კარგად იცოდა მტერმაც და, უპირველეს ყოვლისა, ვენახის განადგურებას ცდილობდა. რამდენჯერ გადაუწვათ იგი, მაგრამ მაინც ვერ გაუნადგურებიათ. ვაზის კულტი და მისდამი დიდი სიყვარული გამოვლენილია ქართველი ხალხის ფოლკლორში, მის სიმღერებში და იმ დიდებული ტაძრების კედლებზე, რომელთაც ვაზის ამოჩუქურთმებული ხვეულები და მტევნები ამშვენებს. ვაზი ქართველებისათვის შრომის, ძლიერებისა და სილამაზის სიმბოლოა. საქართველოში ოთხასი ჯიშის ვაზი ხარობს. ქართული ღვინოები საერთაშორისო გამოფენებზე ოქროს მედლებს იმსახურებენ. ღვინის დამზადების ტექნოლოგია მეტად რთულია. ღვინოს, ჩვეულებრივ, მიწაში ჩაფლულ თიხის ქვევრებში ინახავენ. ამ ადგილს მარანი ჰქვია. საქართველოში არის კლდეში ნაშენი მარანი, სადაც ორ მილიონ დეკალიტრზე მეტი ღვინო ინახება. საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა.

(„ქართული ვაზი და ქართული ღვინო“ ნ. ნიკოლაიშვილ, ქართული ენა, თბ.ილისი, 2000)